საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 734

14 09 2012 წ.

ქ. თბილისი

მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროს ნინო წერეთლის 2012 წლის 6 სექტემბრის №12030 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის'' მე-9 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვისა და სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ფორმები დანართი №1-ისა და დანართი №2-ის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორი შოთა ნიჟარაძე

მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ინფორმაციის ფორმა

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ					ინფორმაცია მიმღები უსდ-ს შესახებ								ინფორმაცია თავდაპირველი უსდ-ს შესახებ	
№	პირადი ნომერი	სახელი	გვარი	სკალირებული ქულა	უსდ ს/კ	დასახელება	საფეხურის ID	საფეხურის დასახელება	ფაკულტეტის ID	ფაკულტეტის დასახელება	პროგრამის ID	პროგრამის დასახელება	უსდ ს/კ	უსდ დასახელება

მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ინფორმაციის ფორმა

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ					ინფორმაცია მიმღები უსდ-ს შესახებ								ინფორმაცია თავდაპირველი უსდ-ს შესახებ	
№	პირადი ნომერი	სახელი	გვარი	სკალირებული ქულა	უსდ ს/კ	დასახელება	საფეხურის ID	საფეხურის დასახელება	ფაკულტეტის ID	ფაკულტეტის დასახელება	პროგრამის ID	პროგრამის დასახელება	უსდ ს/კ	უსდ დასახელება